

# საგზაო

საორტული გაზეთი

სამშაბათი 31 მაისი 2005 №120 (2443)

ფასი 50 თეთრი


## დინამო თავისი საქმე გააკეთა, ქუთაისში კი სართო საქმე გაფუჭდა



**ქანა  
კალაქა  
აგზოს:  
ჩელსი!**



**ესეხ  
მეორე  
მარტ  
იანგულოვსკი  
მილანში  
გადავიდა**



**აგვაპი  
მილანში  
ლაშქრობისა**  
ჰირს  
აილო  
სამოლდელისა



„დინამოს“ ჩემპიონობას წყალი რომ არ გაუვიდოდა, გუშინდლამდეც ცხადი იყო, „ბათუმის“ 3:0 დამარცხების შემდეგ კი საბოლოოდ დაესვა წერტილი საჩემპიონო მარულას. დინამოელთა მეთორმეტე ქართულ ოქროს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა ლევან მელქაძემ დაუდო სათავე. მერე კი მიჰყვა და მიჰყვა...

ახლა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის ჯერია — ღმერთმა ქნას, საქართველოს ჩემპიონმა შარშანდელივით დეკემბრამდე გაძლოს ევროსარბიელზე.

ეს რა იყო, მთავარი ამბები ქუთაისში მოხდა:

„ტორპედო“ 1:0 უგებდა „თბილისს“, მაგრამ 85-ე წუთზე ქუთათურთა გოლის ავტორმა დავით გამეზარდაშვილმა და სტუმარმა თორნიკე აფციაურმა რალაც ვერ გაიყვეს, ატყდა გუნდური ხელჩართული, რომელშიც მასპინძელთა ქომაგებიც ჩაერივნენ.

მეორე-მესამე ადგილების ბედი წყდებოდა, შფოთიანობა მოსალოდნელიც იყო და, სამწუხაროდ, მორიგ დაკა-დაკას ვერ ასცდა ჩვენს ჩემპიონატი. მატჩი ჩაიშალა და რა შედეგი დაფიქსირდება, ამას უახლოეს დღეებში შევიტყობთ.

## კანადელი კასი კალათბურთელებისთვის



**გორდონ  
პერბერტი  
საქართველოს  
ნაკრებს  
განვრთნის**







# ჰამანმა წასვლა გადაიფიქრა



დიტმარ ჰამანი რაფაელ ბენიტესს ერთხელაც დაელაპარაკება

**ინგლისური „ლივერპულის“** გერმანელმა ლეგიონერმა დიტმარ ჰამანმა განაცხადა, რომ „ენფილდზე“ დარჩენა უნდა. როგორც იცით, 31 წლის ფეხბურთელი ჩემპიონთა ლიგის ფინალამდე გუნდიდან წასვლაზე ფიქრობდა. მერსისაიდელთა მეთვრამეტე ვლადიმერ შმიცერს კი ფრანგულმა „ბორდომ“ დააღწია თვალი. ჰამანისგან განსხვავებით, საგარეულოდ, ჩებს გუნდის გამოცვლა მოუწევს.

„ჩემპიონთა ლიგის ფინალამდე დაგვარწმუნა, რომ „ლივერპული“ ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია მსოფლიოში და მისი დატოვება ძალიან ძნელია. ამის სურვილი მეც აღარ მაქვს და რაფაელ ბენიტესსაც უნდა, რომ დავრჩე ყველაფერზე კიდევ ერთხელ დავილაპარაკებო და საბოლოო გადაწყვეტილებას ალბათ, კვირის ბოლომდე მივიღებ“ — თქვა ჰამანმა.

შეგახსენებთ, რომ გერმანელი ნახევარმცველის ხელში ჩაგდება ძალიან უნდათ „ჰამბურგს“ და „ბოლტონს“.

ვლადიმერ შმიცერი კი მალე თავისუფალი აგენტი გახდება და საგარეულოდ, საფრანგეთში დაბრუნდება. 32 წლის ჩეხით აქამდე მისი ყოფილი კლუბი „ლანსი“ იყო დაინტერესებული, ხოლო ახლა საქმეში „ბორდოც“ ჩაერთო. ჟირონდელელები უკვე დაუკავშირდნენ ფეხბურთელის აგენტს და მოლაპარაკებაც დაიწყეს.

**გიორგი კაკაბაძე**

# სანილო ოქროს ბუსი ფორლანდი ანრის ჩაუზიარდა



ევროპის ორი საუკეთესო მეგობარ დიეგო ფორლანდი და ტიერი ანრი

**ევროპის** გრანდსაფეხბურთო ქვეყნებმა ჩემპიონატები დაასრულეს და „ოქროს ბუსს“ პატრონი გამოუჩნდა. უფრო სწორად, ორი პატრონი, რადგან ტიერი ანრი და დიეგო ფორლანდი თავ-თავიანთ ჩემპიონატებში 25-25 გოლი გაიტანეს.

ინგლისის პრემიერლიგა სამი კვირის წინ დასრულდა და „არსენალის“ ფორვარდმა ტიერი ანრიმ 25 გოლი მიითვალა. მისი დაწვევა-გადასწრების შანსი ოთხ ფეხბურთელს ჰქონდა, მაგრამ ფრანგთან გოლებით გათანაბრება მხოლოდ დიეგო ფორლანდმა მოახერხა — „ვილიარეალის“ ურუგვაელმა თავდამსხმელმა გასულ უქმეებზე „ლევანტესთან“ დუბლი შეასრულა და გოლების რაოდენობით ანრის გაუტოლდა. მსგავსი რამ 1989-1990 წლების სეზონშიც მოხდა, როცა ევროპის საუკეთესო ბომბარდირისთვის განკუთვნილი ჯილდო ხრისტო სტოიჩკოვმა და უგო სანჩესმა გაიყვეს. აღსანიშნავია, რომ ტიერი ანრი ევრობომბარდირი ზედიზედ მეორედ გახდა, ისე კი ეს ჯილდო ორჯერ აქამდე მხოლოდ ხუთ ფეხბურთელს მოუგო.

„ძალიან ბედნიერი ვარ — განაცხადა დიეგო ფორლანდმა, რომლის გუნდიც ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებს — ევროპის საუკეთესო ბომბარდირის ტიტულს ნებისმიერი ფორვარდი ინატრებდა“.

ანრის და ფორლანდს თითო გოლით ჩამორჩნენ ბარსელონელი სამუელ ეტო, ლივორნოელი კრისტიანო ლუკარელი და ნიურნბერგელი მარეკ ბინტალი.

**ვაჟა ხუციშვილი**



ევგენი კოროლოვი „ფეინორდის“ მწვრთნელობამ აღაფრთოვანა

# სიტყვა კი არა, საქმე კუბანმა გულითი შეცვალა

„**ფეინორდის**“ მწვრთნელად რჩანდლ კუბანის ძმა, ევგენი კუბანი დანიშნეს, რომელიც როტტერდამულ კლუბში „ვალვაიკიდან“ გადავიდა.

მოგეხსენებათ, „ფეინორდის“ გასულ სეზონში რუუდ გულითი თავკაცობდა, მაგრამ მის ხელში გუნდმა ვერაფერი მოიგო: ჩემპიონატში მესამე ადგილზე გავიდა და ჩემპიონ „პსვეინდჰოვენს“ გვარიანად ჩამორჩა, ხოლო უეფას თასზე ლისაბონის „სპორტივგთან“ დამარცხდა. გულითი ჩემპიონატის და-

სრულებისთანავე მადლობით გადავიხუფლეს, მისი ადგილი კი 33 წლის ევგენი კუბანმა დაიკავა.

„ძალიან მეამაყება, რომ ერთ-ერთმა უდიდესმა ჰოლანდიურმა კლუბმა ჩემი მწვრთნელობა ისურვა — განაცხადა კუბანმა — მე ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რომ გუნდმა უკეთეს შედეგებს მიაღწიოს „ფეინორდის“ დევიზი — სიტყვა კი არა, საქმეა — და მეც პირდაპირ საქმეზე გადავიქცე“.

**ვაჟა ხუციშვილი**



# რითი პარტიკულარზე ნაკლები? ფერნანდო ტორესი არსენალსაც მოუნდა

**ბარსელონის** „ატლეტიკოს“ ვარსკვლავ ფერნანდო ტორესის ხელში ჩასაგდებად გრანდებმა „ხელები დაიკაპიწყეს“. ერთ-ერთი ბრიტანული გაზეთის ცნობით, ტორესს თვალის ლინდონის „არსენალმაც“ დააღწია შეგახსენებთ, რომ აქამდე ტორესის სამომავლო გუნდებდა „ბარსელონას“ და „ჩელსის“ ასახელებდნენ, თუმცა უკან არც „არსენალმა“ დაიხია და „ატლეტიკომ“ „მეთოფეთავან“ სარფიანი წინადადება უკვე მიიღო.

„თუ მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა, ფერნანდო ტორესი გაისად სწორედ „პაიბერაზე“ ითამაშებს და არა სხვავან, ხოლო „ატლეტიკოსში“ სანაკვლოდ ექვსი და რიბერ პერესი გადავიქცევი“ — გვტყვობინებს გაზეთი PEOPLE. გაზეთისვე ვარაუდით, ფერნანდო ტორესი „არსენალის“ თავდასხმამა იქაური მეგავარსკვლავის, ტიერი ანრის შესანიშნავი მეწყვილე იქნება.

**ლადო ხომერიკი**

# ღონ ტრაპი რომს მიადება


**პორტუგალიური** „ბენფიკას“ თავკაცი ჯოვანი ტრაპატონი ევბ „რომას“ ჩაუდგეს სათავეში. მოგეხსენებათ, გამოცდილ სპეციალისტს სამშობლოში უნდა დაბრუნება და ამბობს მზად ვარ, ნებისმიერი კლუბის წინადადება განვიხილოთ თავდაპირველად იგი „ლაციოს“ დაუკავშირეს, მაგრამ, როგორც ირკვევა, „ღონ ტრაპატონ“ თანამშრომლობაზე მჯობრე დელაქალაქური კლუბი უფრო ფიქრობს.

ჯოვანი ტრაპატონი: „დიდ კლუბებს მწვრთნელის პრობლემა არა აქვთ, დანარჩენებს კი შეძილია. ზაფხულის ბოლომდეც დავუკავშირდები თვე სიმოვნებით დავისვენებ. რაც შეეხება „ბენფიკას“, ეს ჩემთვის მორიგი გამოცდასავალი იყო და აუცილებლად მჭირდება და პორტუგალიაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ როგორც მწვრთნელი, ჯერ კვლავ ახალგაზრდა ვარ და ბევრი რამ შემიძლია“.

**გიორგი კაკაბაძე**



# ჰაჯი ბალობა დაასრულა



გიორგი ჰაჯი „გალათასარაიდან“ დაითხოვეს

სტამბოლის „გალათასარაის“ მწვრთნელი გეორგი ჰაჯი პოსტიდან გაათავისუფლეს. კლუბის დირექტორატის კრებაზე წევრების უმეტესობამ რუმიზელს მხარი არ დაუჭირა.

ჰაჯიმ გუნდი შარშან ჩაიბარა და სეზონი მესამე ადგილზე დაასრულა. გარდა ამისა, „გალათას“ „ფენერბაჩეს“ თურქეთის თასის ფინალში სძლია, მაგრამ ეს გამარჯვება დირექტორებმა დიდ დამსახურებად არ ჩაუთვალეს. ჩემპიონატის ბოლო ტურში „გალათასარაიმ“ „დენიზლისფორს“ 4:0 მოუგო და ჰაჯიმ ამ მატჩის შემდეგ განაცხადა: „ჯერ კიდევ ათი დღის წინ ვიციოდი, რომ კლუბს დავტოვებდი, მაგრამ ოფიციალურად ახლა გახდა ცნობილი. მთელი სეზონის განმავლობაში თავს ეულად ვგრძობდი და ამიტომაც მივდივარ. მიუხედავად ამისა, მიღწეული შედეგებით კმაყოფილი ვარ. ბუქარესტის „სტიაუამ“ მწვრთნლობა შემომთავაზა, მაგრამ ჯერ არაფერი გადამიწყვეტია“.

შეგახსენებთ, რომ გეორგი ჰაჯი „გალათასარაიში“ 1996-2001 წლებში თამაშობდა და უეფას თასი მოიგო. 167 მატჩში 78 გოლი გაიტანა, კარიერის დასრულების შემდეგ კი ექვსი თვით რუმიზელის ნაკრებს თავკაცობდა, მაგრამ მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე ვერ გაიყვანა.

ვაჟა ხუციშვილი

# გალიანი ახალ ტალღაზე ანჩელოტი გააფრთხილეს



მარკ იანკულოვსკი „მილანში“ ოფიციალურად გადავიდა

„მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ „ლივერპულთან“ მარცხის შემდეგ თქვა, კარლო ანჩელოტი ხელშეუხებელიაო, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ სხვა ტალღაზე დადგა: „ამის შემდეგ მწვრთნელმა ნებისმიერ მატჩში მოედანზე ორი ფორვარდიდან ერთი თუ გაიყვანა, შესაძლოა, სამუშაო დაკარგოს. „ლივერპულისგან“ სამი გოლი რომ გავუშვით, მერე „მილანი“ ისევ კარგად ათამაშდა და საგილემ მომენტებიც შექმნა, თუმც იბლაღმა გვიგანა. სილივი ბერლუსკონი მარცხის გამო არ გაბრაზებულია და ფეხბურთელებთანაც სასაუვედურო არაფერი აქვს. „მილანმა“ ფინალი წააგო, მაგრამ შესანიშნავად ითამაშა და ჩვენთვის ეს მნიშვნელოვანია. ახლა შეცდომები უნდა გამოვასწოროთ, რომ სამომავლოდ იგივე არ განმეორდეს“.

„შავ-წითლებმა“ გასულ კვირას „სპე ეინდჰოვენთან“ შევიცარიელი იოჰან ფოგელი მუქიად გადაიბირეს, გუშინ კი „უდინეზეს“ მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტომ დაადასტურა, რომ მისი გუნდის ჩეხი ნახევარმცველი მარეკ იანკულოვსკი უკვე ოფიციალურად „მილანის“ ფეხბურთელია.

ვაჟა ხუციშვილი

# უღიე და ლიონი

ჟერარდ ულიე „ლიონის“ მწვრთნელად დანიშნეს. „ლივერპულის“ ყოფილმა თავკაცმა კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „ფეხბურთი ჩემი ცხოვრებაა, „ლიონი“ კი ისეთი გუნდია, რომლის მწვრთნლობაზეც უარს ვერ ვიტყვოდი — განაცხადა ფრანგმა — ძალიან ბედნიერი ვარ და შემაყვება, რომ ასეთი ღონის გუნდი მანდეს. საფრანგეთი 1988 წელს დავტოვე, მაგრამ ახლა კვლავ სამშობლოში ვარ. შევეცდები, პოლ ლე გუნდის დაწყებული საქმე ღირსეულად განვაგრძო. გუნდში გამოცდილი ფეხბურთელებიც არიან და ნიჭიერი ახალგაზრდებიც. მათ არა მარტო საფრანგეთში, არამედ ევროსარბიელზე ბრძოლაც შეუძლიათ და ეს ბოლო ორი წლის განმავლობაში დაამტკიცეს“.

„ლიონის“ პრეზიდენტი ფან-მიშელ ოლა: „უღიე ჩემპიონთა ლიგის ფინალის წინა დღეს დავითანხმეთ, თუმც მთელი ორი კვირის მანძილზე ჩვენს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობდა.“

ვაჟა ხუციშვილი




# ხელგარბიანი ხერარდი

„ბარსელონას“ ნახევარმცველი ხერარდ ლოპესი ეგებ „მონაკოში“ გადავიდეს. ამის შესახებ დიდი დემანის თანაშემწე ფან პეტომ განაცხადა: „ძალიან გვსურს მისი გადმობირება, რადგან ჯერ ერთი, მაღალი კლასის ფეხბურთელია, თან თავისუფალი აგენტია და ფულის გადახდა არ დაგვიჭირდება. მან შესანიშნავად ითამაშა „ჩელსისთან“, როგორც საფრანგულ ნახევარმცველმა და ზუსტად ასეთი ფეხბურთელი გვსურს გუნდის გასაძლიერებლად“.

თავად ესპანელმა კი დაადასტურა, რომ მზადაა, „ბარსელონა“ დატოვოს: „მთელი ჩემი კარიერის განმავლობაში გუნდიდან გუნდში ემოგზაურობ და კიდევ ერთხელ აპირებუარ არ გამიჭირდება. ჯერ ახალგაზრდა ვარ და თამაში მწყურია“.

„მონაკომ“ უკვე გადაიბირა სამი ფეხბურთელი: ნახევარმცველი ოლივიე სორლინი, მეკარე გიომ ვარმუზი და მეცხრე ტიიფილო მაუელიდა.

ვაჟა ხუციშვილი



რონალდომ ბრაზილიის ნაკრებში თამაში იუარა

# რონალდოს ბრაზილია არ უნდა

მადრიდის „რეალის“ ბრაზილიელი ფორვარდი რონალდო ჩიო დე უანიროში ჩავიდა, რომ ქვეყნის ფეხბურთის ჩინიზაციას აუხსნას, თუ რატომ არ სურს იენისში, გერმანიაში გასამართ კონფედერაციის თასზე თამაში: „პატარა ბიჭი არ ვარ, რომელიც ნაკრებში პირველად გამოიძახეს. ახლა შეგულებული ვარ და ბევრჯერ ვცადე ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციასთან დაკავშირება. აქ იმატომ ჩამოვედი, რომ მათ ჩემი გეგმების შესახებ ვესაუბრო. საკმაო მიზეზები დამიფიქსირდა საბრაზილიაო, რათა გერმანიაში თამაშზე უარი ვთქვა“.

ურნალისტებმა დანიელა ჩიკარელისთან გაყრის მიზეზიც შეაოხეს, მაგრამ რონალდომ მოუგო, ეს ჩემი პირადი საქმეა.

ვაჟა ხუციშვილი

იტალიურმა „უდინეზემ“ გასული სეზონი ძალიან კარგად ჩაატარა და ჩემპიონთა ლიგის საგზურსაც გამოჰკრა ხელი. ამ წარმატების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი კი გუნდის თავკაცი ლუჩანო სპალეტია და მას უკვე არაერთმა უფრო შეძლებულმა და სახელიანმა კლუბმა დაადგა თვალის

## ლუჩანო სპალეტის ფრიულში აბაგებენ

თუმც, უდინელთა ხელმძღვანელობა ირწმუნება, რომ „ემპოლი-სა“ და „სამპდორიას“ ყოფილი მწვრთნელი მომავალ სეზონსაც „სტადიო ფრიულიზე“ გაატარებს. „ჩვენ კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი გვაკავშირებს და ამას ორივე მხარემ პატივი უნდა სცეს. ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება დიდი წარმატებაა და სპალეტის მადლობას ვუხდით. შემიძლია, დაგარწმუნოთ, რომ იგი გუნდში დარჩება. მეტიც, უკვე ახალ კონტრაქტზე დავიწყეთ მოლაპარაკება“ — თქვა „უდინეზეს“ მფლობელმა ჯანპაოლო პოცომ.

თავად სპალეტომ კი განაცხადა: „დარჩენა მეც მინდა და იმედია, ასეც მოხდება, თუმც ხელმძღვანელობასთან ჯერ რამდენიმე დეტალია შესათანხმებელი“.

გიორგი აბაბაძე





# ვან ნისტელროი გზას ეძებს

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორვარდი რუედ ვან ნისტელროი სერ ალექს ფერგუსონს გუნდიდან წასვლის თაობაზე ესაუბრა. მეგობრულ მთელი სეზონის განმავლობაში ტრავმები სტანჯავდა და ფორმიდან ამოვარდა. ვან ნისტელროი მწვრთნელს „არსენალთან“, ასოციაციის თავის ფინალში მარცხის შემდეგ შეხვდა. პოლანდიელი გასაყიდ ფეხბურთელთა ნუსხაში არაა, მაგრამ თავად ისურვა ტრანსფერზე დაყენება.

მოგეხსენებათ, მანჩესტერული კლუბი ამ სეზონში ყველა ფრონტზე დამარცხდა. პრემიერლიგაში მესამე ადგილზე გავიდა, ჩემპიონთა ლიგაში „მილანთან“ მერვედფინალში დამარცხდა, ლეიკისა და ასოციაციების თასებიც დათმო. რუედ ვან ნისტელროისაც ეს მოუძიებებია, თან ინგლისური მედიის ცნობით, პოლანდიელ თავდასხმელს მადრიდის „რეალი“ და „ბარსელონა“ ეპატივებიან.

ვაჟა ხუციშვილი


# როზინოს თოფი დაუმიზნეს

„სანტოსის“ მეგობრული როზინო ვერ კიდევ შარშან გახდა ევრობოლოების სამიზნე, მაგრამ მისი ტრანსფერი არ შედგა მანამ ყველაზე მეტად მადრიდის „რეალი“ აქტიურობდა და ამბობდნენ, რომ წინასწარი გარიგებაც გაინახაო. შემდეგ საქმეში ლონდონის „ჩელსიც“ ჩაერია, ახლა კი აღმოჩნდა, რომ როზინოს „არსენალს“ ეპატივებიან.

ბრაზილიელმა ფეხბურთელმა ეს ფაქტი თვითონ დაადასტურა: „არსენალის“ წარმომადგენლები ჩემს აგენტს დაუკავშირდნენ და გარიგება შესთავაზეს. ძალიან შეამაყებია, რომ ასეთი დონის გუნდი დავანტერესებ. მსგავსი შანსი ცხოვრებაში ყოველდღე არ მოვა კერძო კი ვიცინებებდი, თუ ოდესმე ტიერი ანრის გვერდში თამაშის საშუალება მიქნებოდა. მოლაპარაკება ვერ კიდევ მიმდინარეობს“.

ინგლისური მედიის ცნობით, ლონდონის „არსენალმა“ „სანტოსს“ როზინოს სანაცვლოდ 14 მილიონი ევრო შესთავაზა.

ვაჟა ხუციშვილი



როზინოს (მარჯვნივ) სანაცვლოდ ლონდონის „არსენალმა“ „სანტოსს“ 14 მილიონი ევრო შესთავაზა

# თასი სანოლში

სტამბოლის „ათათურქზე“ სტივენ ჯერარდმა ჩემპიონთა თასი აღმართა, თავადაც გაიხარა — სულ YES! YES! იძახა და ხალხიც გაახარა. ჯერარდი ამ შეჯიბრის ისტორიაში 39-ე კაპიტანია, ვისაც თასის აღმართვის პატივი ერგო

## არამიმდგარი ბრანდფარი

2004 წლის ივლისში საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ სტივენ ჯერარდი „ჩელსიში“ უნდა გადასულიყო. ფეხბურთელის მოტივი მარტივი იყო — მას რაიმე დიდი ჯილდოს მოგება სურდა, მაგრამ ბოლო წამს, როცა გარიგების დასრულებას ხელის დაკრავდა უკლდა, ჯერარდმა გადაიფიქრა.

სტამბოლური ფინალის წინ ჩანდა, რომ ჯერარდი არც შემცდარა და მართალია, მოგებას „მილანს“ უფრო უქადდნენ, მაინც შეიძლება ითქვას, რომ დიდ ჯილდომდე „წითლების“ კაპიტანს 90 წუთი უკლდა, მაგრამ ამ 90-დან ნახევრის გასვლის მერე, თასი ჯერარდისგან ძალიან შორს ჩანდა.

## ხაპიტანმა დაიწყო

თუმცა ჯერარდს, რომელიც მატჩის უძვირფასეს მოთამაშედ დაასახელეს, დანებება გულშიც არ გაუვლია — ანჩელოტის გუნდისთვის იოლად დასათმობი რა ჰქონდა.

მერე რაც მოხდა, ვიცით — „ლივერპულმა“ კაპიტნის უზადო თავურით პირველი საპასუხო გაიტანა, ექვს წუთში კი საჯარიმოშიც წააქციეს და...

## სხვა გუნდი

— ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მატჩისთვის ინტრიგა დაგვებრუნებინა, მოგების დიდი შანსი არ გექონდა, მაგრამ მეორე ტაიმში ისე უნდა გვეთამაშა, ჩვენს გულშემოტკივარს დაენახა, რომ ბოლომე ვიბრძოლეთ — თქვა ნამატჩევს ჯერარდმა — მეორე ტაიმში ჩვენ სულ სხვა გუნდი ვიყავით. ყველაფერი სწრაფმა გოლმა გადაწყვიტა. ამ გოლმა თავდაჯერებულობა შეგვმატა, ვირწმუნეთ, რომ თამაშის გადარჩენა შეგვეძლო და ბევრად უკეთესადაც ვითამაშეთ.


## უნივერსალოვანის გოლი

ეს სეზონი სტივენ ჯერარდისთვის მრავალფეროვანი გამოდგა. წინა სეზონში „ლივერპულს“ ერთი ფეხბურთელის გუნდსაც ეძახდნენ — იმდენად ვანუზომელი იყო კაპიტნის თამაში გუნდის შედეგებზე. ახლანდელი კამპანიის დროს კი გულშემოტკივართა გულები ჯეიმი კარაგერმა დაიპყრო, ბევრი სპეციალისტი კი „ლივერპულის“ საუკეთესო ფეხბურთელად ხაბი ალონსოსაც თვლიდა.

თუმცა, 2004 წლის დეკემბერში სწორედ ჯერარდმა გაუტანა უმნიშვნელოვანესი გოლი „ოლიმპიკოსს“ და „ლივერპული“ ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში გაიყვანა.

## აუბსაიდარი

— ლიგის დაწყებისას ჩვენ აუტსაიდერთა შორის მოგვიხსენიებდნენ — განაგრძობს ჯერარდი — მაგრამ, ჩვენ ფინალში გაძრომა და თასის მოგებაც მოვახერხეთ. ხალხს კარგი ფეხბურთი ვაჩვენეთ, დაცვაში დიდებულად ვითამაშეთ და რამდენიმე ძალიან ლამაზი გოლიც გავიტანეთ. რაც მთავარია, ხელი არასდროს ჩავკეციქვით, რაც „ათათურქზე“ კიდევ ერთხელ დადასტურდა.



სტივენ ჯერარდი 39-ე კაპიტანია, ვინაც ჩემპიონთა თასი თავსებოთ ასწია

## სხვა ქარარდი

ჯერარდის სამსახურით ბევრი ევროპული ბოლო კლუბია დაინტერესებული მაგრამ როგორც ჩანს, თავად ფეხბურთელი „ლივერპულიდან“ წასვლას აღარ აპირებს. ფინალის მერე მან თქვა: „დარწმუნებული ვარ, „ლივერპულის“ აღმასრულებელი დირექტორი რიკ პერი კლუბში ჩემს მომავალზე მალე დამელაპარაკება და ჩვენ ერთად მივიღებთ გადაწყვეტილებას. ვერ წარმომიდგენია, ასეთი ფინალის მერე გუნდიდან წასვლა როგორ უნდა მოვინდომო. ეს სეზონი კი ჩემთვის ცოტა უცნაური გამოდგა. ზოგ მატჩში აშკარად ძალიან ცუდად ვთამაშობდი, მაგრამ არა უშავს, მომდევნო სეზონში თქვენ სულ სხვა ჯერარდს ნახავთ“.

## უნივერსალური ჯარისკაცი

უეჭველია, რომ ჯერარდმა ფინალის უძვირფასესი მოთამაშის ტიტული დაიმსახურა. თუმცადა საუკეთესო შეფასება ლივერპულელთა პოლონელ მეკარეს ირუი დუდეკსაც ეკუთვნის. მაგრამ აქ მეკარეზე არ შეეჩერდებით და კაპიტანს მიუბრუნდით. პირველ ტაიმში ჯერარდი მოედნის ცენტრში თამაშობდა. მეორე ტაიმში თავისი გუნდის იერიშებს ჩაუდგა სათავეში, დამატებით დროში კი მეტოქის შეტევების ჩაშლაზე იმუშავა და მილანელ სერჟინიოს გასაქანი არ მისცა.

## ლიტაბალი დღე

საბოლოოდ კი ჯერარდმა მძიმე შრომის შემდეგ გამარჯვებით ტაბოლის უფლება მიიღო: „ეს უმშვენიერესი დღეა ჩემს ცხოვრებაში. გულახდილად გეტყვით — ბრძოლას ბოლომდე კი ვაპირებდი, მაგრამ შესვენებაზე გასული ვერ წარმოვიდგენდი, გამარჯვებას თუ შევძლებდით. ვფიქრობდი, რომ თამაშის მერე ჩვენ იმედგაცრუება და ცრემლები გველოდა“.

## თასი სანოლში

ვინაიდან „ლივერპულმა“ ჩემპიონთა თასი მეხუთედ მოიგო, კლუბს თასის ორიგინალის საშუალო მფლობელობაში დატოვება შეუძლია. ვლადიმერ შმიცერმა კი ფინალის მერე დღეს აღიარა: „თასმა ღამე ჩვენი კაპიტნის ოთახში გააოთა. სტამბოლში ჯერარდის გელფრენდი არ ჩამოსულა და სტივენმაც ლიუკანში მის მაგივრად თასი ჩაიწვინა“.

ადრიან ბარტი  
„უფა მეგებინ“



დაწია

Table with match results for various football leagues including Georgian Premier League and others.

ნორვეგია

Table with match results for Norwegian football leagues.

უკრაინა

Table with match results for Ukrainian football leagues.

თურქეთი

Table with match results for Turkish football leagues.



„სპეციალური“ ჰოლანდიური დუბლი გაიხარა — ქვეყნის ჩემპიონობას გულმინდვნით თასიც მიამატა

AFP როტტერდამიდან

ავსტრია

Table with match results for Austrian football leagues.

უკრაინა

Table with match results for Ukrainian football leagues.

პოლონია

Table with match results for Polish football leagues.

ავსტრია

Table with match results for Austrian football leagues.

უკრაინა

Table with match results for Ukrainian football leagues.

პოლონია

Table with match results for Polish football leagues.

ჩეხეთი

Table with match results for Czech football leagues.

გერმანია

Table with match results for German football leagues.

ფინეთი

Table with match results for Finnish football leagues.

უკრაინა

Table with match results for Ukrainian football leagues.

პოლონია

Table with match results for Polish football leagues.

სლოვაკეთი

Table with match results for Slovak football leagues.

სლოვაკეთი

Table with match results for Slovak football leagues.

პორტუგალია

Table with match results for Portuguese football leagues.

აშშ

Table with match results for US football leagues.

ბრაზილია

Table with match results for Brazilian football leagues.

სლოვაკეთი

Table with match results for Slovak football leagues.

სლოვაკეთი

Table with match results for Slovak football leagues.

სლოვაკეთი

Table with match results for Slovak football leagues.

Advertisement for 'სარკიელი' (Sarkeli) featuring contact information: Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80.





მექსიკის პრეზიდენტი ვისენტე ფოქსი გულუხვი გულშემატკივარია

# აი, სარუქარი! მექსიკის პრეზიდენტმა საყვარელ გუნდს BMW-ები ჩამოურიბა

მექსიკას ახალი ჩემპიონი ჰყავს — „ამერიკამ“ ლეგენდარულ „ცენტეაზუ“ „ტეკოსი“ ნაპ დაამარცხა და იქაური კლასურად მეათეჯერ მოიგო.  
რა თქმა უნდა, გულშემატკივრებმა საყვარელი გუნდის ფისტა დიდებულად იდღესასწაულეს, ხოლო მათგან რანგით ყველაზე მთავარმა, მექსიკის პრეზიდენტმა ვისენტე ფოქსმა „ამერიკას“ გულთბილად მიულოცა.  
„ეს ტიტული უპირველეს ყოვ-

ლისა მექსიკელ ხალხს ეკუთვნის. ორმაგად მიხარია „ამერიკას“ ჩემპიონობა, ჯერ ერთი, რომ სწორედ ამ გუნდს ვგულშემატკივრობ და მეორე, ბიჭებმა ოქროს მედლები ღირსეულად, შესანიშნავი თამაშით მოიპოვეს, რაც სხვა კლუბებისთვის კვიქობა, მისაბადი მაგალითია“ — აღნიშნა თავისიანთა გამარჯვებით გახარებულმა ქვეყნის პრეზიდენტმა.  
ჩემპიონთაგან კოლეგი აარონ პაილიამ (2), კლაუდიო ლოპესმა (3)

და კვატემოკ ბლანკომ გაიტანეს, ხოლო დამარცხებულთაგან თავი ეღუარდო ლეონელსონმა, ფრანსისკო მორალესმა და დუილიო დავინომ გამოიჩინეს.  
ბოლოს კი გეტყვით, რომ „ამერიკას“ ფეხბურთელებს ოქროს მედლებთან და ფულად პრემიებთან ერთად, გუნდის მთავარმა გულშემატკივარმა BMW-ს მარკის ავტომანქანები ჩამოურიბა. სწორედ ამაზეა ნათქვამი — აი, პრეზიდენტი და აი, სარუქარი.

# მენოტის უოუ არ სიბლავს



ლუის სესარ მენოტი

ლუის სესარ მენოტის თანამედროვე ფეხბურთი, ნუ გაიკვირვებთ და არ მოსწონს — „ელ ფლაგოდ“ წოდებულმა არგენტინულ „ოლესთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ ფეხბურთელები დიდმა ფულმა გააყოფილან, ფეხბურთმაც ძველებური მიზიდველობა და იერი დაკარგა და გულშემატკივრებიც საყვარელ გუნდებს ნაკლები მონდომებით ქომაგობენ.  
„გულაზდილად გეტყვით, პირადად მე თანამედროვე ფეხბურთი სულაც არ მზიბლავს. ახლა სპორტი დიდი ბიზნესია, საქმიანი ხალხი ცდილობს, სულ უფრო და უფრო მეტი შეჯიბრება ჩატარდეს და ქომაგებს უფრო მეტად შოუებს სთავაზობენ, ამან კი უკუშედეგი მოგვიტანა — ბიზნესად ქცეული მატჩებით გულშემატკივრები ძველებურად აღარ ინტერესდებიან. ეს იგივეა, ლუჩანო პავაროტი აიძულე, „ლა სკალაში“ ყოველდღე იმდეროს — მის გენიალობასაც ბოლო მოეღება და თავგანისმცემლებიც მესტროსადმი ნელ-ნელა გაცივდებიან“ — სევდიანად თქვა მენოტი, რომლის თავკაცობითაც შეგახსენებთ, არგენტინის ნაკრებმა 1978 წელს მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო.

# სამოზლოდან გაქვევული ოლმოსი არგენტინაში ჩავა

ჩილეს ეროვნული გუნდის ყოფილი მწვრთნელი ხუვენალ ოლმოსი უახლოეს დღეებში სავარაუდოდ, არგენტინულ „ნიუელს ოლდ ბოისს“ ჩაიბარებს.  
შეგახსენებთ, რომ გამოცდილი ოლმოსი თავისი ქვეყნის ნაკრებიდან აპრილის ბოლოს დაითხოვეს — სპეციალისტს შედეგები დაუწუნეს. თუმც, თუ ამ სამზრეთამერიკული ქვეყნის მედიას ვენდობით, სენიორ ოლმოსი ჩილეს ფეხბურთის ფედერაციის ჩინოსნებთან მომხდარმა დაპირისპირებებმა შეიწირა.  
„მინდა, ამჯერად ბედი საზღვარგარეთ მოვსინჯო. გუნდს ჯერჯერობით ვერ გეტყვით, თუმც შემძილია, გიოხრათ, რომ კარიერის გასაგრძელებლად არგენტინულ ლიგას ავირჩევ“ — განაცხადა ხუვენალ ოლმოსმა, იქაურ „ლა ტერსერას“ ჟურნალისტთან საუბარში.  
მანამდე კი „ნიუელს ოლდ ბოისს“ დროებითი მწვრთნელი ჰყავს — არსენიო რიბეკა. პატაგონიური გუნდი ამჟამად სატურნირო ცხრილში მეთერთმეტე ადგილზეა.



ხუვენალ ოლმოსი

# ბატისტუტას ოსნება ნაკრების განვრთნა



გაბრიელ ბატისტუტამ ხოსე პეკერმანი შეაქო



არგენტინული ფეხბურთის ერთ-ერთმა ლეგენდამ გაბრიელ ბატისტუტამ განაცხადა, რომ ამჟამად სამწვრთნელი კურსებს გადის და დიდად მოხარული იქნება, თუ ოდესმე ქვეყნის ეროვნულ გუნდს ჩააბარებენ.  
„მწვრთნელობაზე რომ ვოცნებობდი, არასდროს დამიბლავს. ვივლი, რომ როგორც ფეხბურთელს, ჩინებული კარიერა მქონდა, ახლა კი ბედს მწვრთნელობაშიც ვცდი და ვინძლო, ცუდი მიღწევები არც ამ საქმიანობაში მქონდეს“ — აღნიშნა ბატისტუტამ იქაურ „კლარინთან“ ინტერვიუში.  
გაბრიელ ბატისტუტა, რა თქმა უნდა, ეროვნული გუნდის სათავეში მოსვლას დღეს-ხვალ არ აპირებს, თუმცა...  
„არ არის“ გამორიცხული, რომ

გარკვეული ხნის შემდეგ ფედერაციამ ნაკრების მწვრთნელობა მოხვოს. მაშინ გამოცდილობა ხელს ნაღდად არ შემიძლის“ — განმარტავს სახელოვანი მეკოლე.  
პირადი გვეგების გარდა, ბატისტუტამ არგენტინელთა ამჟამინდელ მწვრთნელ ხოსე პეკერმანზეც ოქჯა ორიოდ სიტყვა.  
„მას ფეხბურთელებთან არანაირი პრობლემა არც აქამდე ჰქონია და არც მომავალში ექნება. გაიხსენებთ, ხოსე ხომ ერთხანს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი იყო და ამიტომაც დღეს, ეროვნულში მოთამაშეთა ოთხმოც პროცენტს მშვენივრად, მოხარულს იცნობს. დარწმუნებული ვარ, რომ ხოსე პეკერმანთან ერთად დიდ წარმატებებს მივაღწევთ“.












# რუსი წლის შედეგად

ზუსტად ოცი წელიწადია მას შემდეგ, რაც ბრიუსელის „ეიზელის“ სტადიონზე ატეხილ ჩხუბსა და ჭყლეტაში 29 იტალიელი დაიღუპა. ჩემპიონთა თასის ფინალში მაშინ „იუვენტუსი“ და „ლივერპული“ ხვდებოდნენ. უბედურება თამაშამდე დატრიალდა, თუმცა მატჩი მაინც გაიმართა და თასი იტალიელებმა მოიგეს, ხოლო ინგლისურ კლუბებს ხუთი წლით აკრძალათ ევროთასებზე გამოსვლა. 24 მაისს ეიზელზე დაღუპულთა სკამიდან უცნაური შემორჩენილი გაიხსნა.




AFP ბრიუსელიდან



AFP ბრიუსელიდან



AFP კალეიდან



AFP ტაეარუდან

## ბრიტანეთის ბარშემი



AFP კალეიდან

„სილ ედ ვეოლამ“ და მისმა შვიებრმა როლან ჟურდანმა კალეს ბრიტანული რეისი მოიგეს. შეჯიბრი ბრიტანეთის კუნძულების გარშემო ცურვას გულისხმობს, რასაც ფრანგმა 6 დღე, 16 საათი და 43 წუთი მოახდინა.

# ოკეანეთში

ეს ფიჯის წყლებშია, ტაეარუს კუნძულის კიდე, ღრუბელმტეხი რიფის ახლო. ხოლო მთოფლიოს 45 ხაუკეთესო მოხერფე ტალღებს ტეხს. ეს კი ავსტრალიელი იადინ ნიკოლია.

<p><b>სარბიელი</b> საორბული გაზეთი</p> <p>გამოცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან</p> <p>გამომცემი: ორგანიზაცია, სამშაობის, ორგანიზაცია, პარასკევს ღა შაბათს</p>	<p>გამომცემელი: ზურაბ ჯორჯაძე დირექტორი: გიორგი მამუკაშვილი რედაქტორი: ილია ბაგრატიანი პასუხისმგებელი რედაქტორი: ავთანდილ ბურჯანაძე ტექნიკური რედაქტორი: მამუკა გუგუშვილი ქართული ფეხბურთის რედაქტორი: დავით თაყაიშვილი კობა ინაჩიძე, ალია ნანიბაშვილი, კახა შალამბერიძე უცხოური ფეხბურთის რედაქტორი: ვიო ახუციანი, გიორგი დარჯიანი, გიორგი ვაშაძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხიმშიაშვილი, ვაკე ხუციშვილი</p>	<p>ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ჯორჯაძე ინფორმაციის რედაქცია: ვა. ახალაძე, ლევან კვლავაძე თარგმანი: ელენე, ირაკლი კერძაია ფოტორეპორტიორები: გურამ დოლიძე, შვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალისკელი, მადლი დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქანჭილაძე, ზურაბ წერეთელი</p>	<p>რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო კუთი 208. ტელეფონი: 39 48 29 ელექტრონული ფოსტა sarblieli@gol.ge ელექტრონული ვერსია <a href="http://www.sarblieli.com.ge">http://www.sarblieli.com.ge</a></p>
--	---	---	--